<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და ქინძმარაულის შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის მონაკვეთს, მასთან არსებულ ჩიხს და ქინძმარაულის შესახვევს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ზურაბ იარაჯულის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X:491115 Y:4613461
X:490978 Y:4613200
X:491272 Y:4613044
X:490777 Y:4612807
X:490765 Y:4612740
X:490810 Y:4612612
N
1:4,500

ზურაბ იარაჯული

(1971-1993)

აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი, საქართველოს ეროვნული გმირი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი

ზურაბ იარაჯული 1971 წლის 12 მარტს თბილისში დაიბადა. მერვე კლასში სწავლისას აეროკლუბში გაწევრიანდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1988 წელს სწავლა რუსეთში, კაჩას უმაღლეს სამხედრო-საფრენოსნო სასწავლებელში გააგრძელა.

აფხაზეთის ომის დაწყების შემდეგ, 1992 წელს, ზურაბ იარაჯული საქართველოში დაბრუნდა და გადამზადება სუ-25 მოიერიშე თვითმფინავზე გაიარა. იმავე წელს, ავიაციის ლეიტენანტის წოდება მიენიჭა. საომარი მოქმედებების დროს, ქვეყნის ერთიანობის დასაცავად, ზურაბ იარაჯულმა ოცზე მეტი საბრძოლო გაფრენა განახორციელა და მოწინააღმდეგის პოზიციებზე არაერთი წარმატებული იერიში მიიტანა.

ზურაბ იარაჯული, 1993 წლის 13 ივლისს, კოპიტნარის აეროდრომიდან სოფელ შრომის მიმართულებით, სუ-25 მოიერიშე თვითმფრინავით გაფრინდა. ქართველმა მფრინავებმა, სოფელ შრომასთან, მთლიანად გაანადგურეს მტრის სამხედრო კოლონა. აეროდრომზე დაბრუნებულ ზურაბ იარაჯულს კვლავ მოუხდა საბრძოლო დავალების შესასრულებლად სოფელ შრომისკენ მიბრუნება, სადაც ქართულმა მოიერიშეებმა მტერზე მორიგი წარმატებული შეტევა განახორციელეს, თუმცა მოწინააღმდეგემ ზურაბ იარაჯულის თვითმფრინავის ჩამოგდება შეძლო.

ქართველი პილოტი მოწინააღმდეგის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე პარაშუტით დაეშვა და სამი დღე-ღამის განმავლობაში, ფრონტის ხაზის გადაკვეთას და სამშვიდობოზე გასვლას ცდილობდა. მტერს ეჭვი ჰქონდა, რომ პილოტი ცოცხალი გადარჩა და მას გამალებული ეძებდა. საბოლოოდ, გუმისთის ტყეში, მოწინააღმდეგემ ზურაბ იარაჯული ალყაში მოაქცია. მას დანებება შესთავაზეს და დაპირდნენ, რომ მოგვიანებით, ტყვედ გაცვლიდნენ. უფროსი ლეიტენანტი იარაჯული მტერს ცოცხალი არ დანებდა - მდევართაგან ორი მოკლა და ერთი დაჭრა.

„მე მტერს ტყვედ არასდროს ჩავბარდები...“ ეს ფრაზა მითხრა ერთხელ კოპიტნარში. ისიც დაამატა, რომ სანამ მომკლავენ, რამდენიმეს ხომ მაინც გავიყოლებო. ზურამ ეს სიტყვები ერთი-ერთში აასრულა...“ - იხსენებს იარაჯულის თანაკურსელი და თანამებრძოლი, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი ზვიად ბექაური.ზურაბ იარაჯულს, რომელმაც ტყვეობას გმირული სიკვდილი ამჯობინა, 2013 წელის 19 სექტემბერს, საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების დღეს, საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა. უფროსი ლეიტენანტი იარაჯული ასევე

დაჯილდოებულია, სიკვდილის შემდეგ, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. დაკრძალულია თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ იარაჯულების სასაფლაოზე.

კორესპონდენცია წარმოებულია საჯარო უწყებებთან მიმოწერის სერვისის მეშვეობით

№ CA0041222460627 **13.04.2022**

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

სათაური: განცხადება

შინაარსი: გეგზავნებათ, ქართული სამხედრო ანალიტიკური პორტალის gmas.ge ის ხელმძღვანელის ელექტრონულად ხელმოწერილი განცხადება ქ. თბილისში მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების თაობაზე.

დოკუმენტები:
1) pdf.pdf;

პატივისცემით,

იოსებ ჭონქაძე
პ. #: 16001018464

მობილური: +995595706880
ელფოსტა: iosebchonkadze@gmail.com

ქალაქ თბილისის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქალბატონ ნინო ვარდოსანიძეს

ქართული სამხედრო ანალიტიკური პორტალის

(gmas.ge) ხელმძღვანელის

იოსებ ჭონქაძის

მის:ქ.თბილისი გლდანი,მე-3 მ/რ,77 კორპუსი ,ბინა N23

მობილიური; 595 760 880

Mail: iosebchonkadze@gmail.com

შ უ ა მ დ გ ო მ ლ ო ბ ა

ქალბატონო ნინო,

როგორც თქვენთვის ცნობილია აფხაზეთის ომში საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო საჰაერო ძალებმა 6 სუ-25 მოიერიშე თვითფრინავი , 3 მი-24 ტიპის საბრძოლო შვეულფრენი და რამდენი მი-8 ტიპის სამხედრო სატრანსპორტო შვეულფრენი დაკარგა რასაც ორ ათეულამდე ქართველი სამხედროს სიცოცხლე შეეწირა.

აფხაზეთის ომში ჩამოგდებული ექვსი სუ-25 მოიერიშეს პილოტიან დაიღუპა 3 პილოტი მათ შორისაა კაპიტანი ზურაბ იარაჯული რომელმაც განსაკუთრებლი სიმამაცით გამოიჩინა თავი.

ზურა იარაჯული დაიბადა 1971 წლის 12 მარტს, თიანეთის რაიონის სოფელ იარაჯულებში. სკოლის დამთავრების შემდეგ მან რუსეთში კაჩას უმაღლეს სამხედრო-საფრენოსნო სასწავლებელში ჩააბარა, სადაც საფრენოსნო პრაქტიკები ჩეხური წარმოების სასწავლო L-29 ‘‘დელფინი’’ და L-39 ‘‘ალბატროსი’’-ს ტიპის თვითმფრინავებზე გაიარა.

1992 წელს მას ავიაციის ლეიტენანტის წოდება და მფრინავ-ინჟინრის სპეციალობა მიანიჭეს. ამ დროს საბჭოთა კავშირი უკვე დაშლილი იყო, დამოუკიდებელ საქართველოში კი აფხაზური სეპარატისტული ძალები ძლიერდებოდნენ და ომი გარდაუვალი იყო.

1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში ომი დაიწყო. იმავე წელს ზურა იარაჯული სამშობლოში დაბრუნდა და ახალშექმნილ ქართულ სამხედრო-საჰაერო ძალების რიგებში მფრინავის შტატით ჩაირიცხა.

1992 წლის სექტემბერ-ოქტომბერში იარაჯულმა და რამდენიმე სხვა ქართველმა მფრინავმა თბილისის 31-ე საავიაციო ქარხნის აეროდრომზე მოიერიშე **Cy-25-**ით ფრენის დაჩქარებული

კურსები გაიარეს. ნოემბრის თვიდან კი კოპიტნარის აეროდრომიდან ზურა იარაჯულმა აფხაზეთის ფრონტზე საბრძოლო გაფრენები დაიწყო.

1993 წლის 2 ივლის მოწინააღმდეგემ ოჩამჩირის რაინის დაბა ტამისში 500 კაციანი საზღვაო დესანტი გადმოსხა. ტამიშის პარლელურად მოწინააღმდეგემ გუმისთის ფრონტს შემოუარა და სოხუმის ჩრდილოთით მდებარე სტრატგიული მნიშვნელობის სოფლებს შეუტია.

1993 წლის 13 ივლისი, აფხაზი სეპარატისტები და რუსი სამხედროები სოფელ შრომის მიმართულებას გაფთრებით უტევენ, დილის 10 საათზე კოპიტნარის სამხედრო აერდრომზე ქართველმა სახედროებმა ინფორმაცია გადასცეს რომლის თანახმადაც მოწინაღმდეგის დიდი სამხედრო კოლონა სოფელ შრომის მიმართულებით მოემართებოდა .

კოპიტნარის სამხედრო აეროდრომიდან საქართველოს სამხედრო საჰაერო ძალების ოთხი Cy-25 ტიპის მოიერიშე თვითფრინავი აფრინდა მოწინააღმდეგის სამხედრო კოლონის გასანადგურებლად.

ქართველი მფრინავების საბრძოლო ამოცანა იყო მოწინაღმდეგის ჯავშანკოლონის აღმოჩენა და საჰერო დარტყმებით გაანადგურება.

ქართულმა Cy-25 ტიპის მოიერიშე თვითფრინავებმა მალევე აღმოაჩინეს ამზარა-შრომის გზაზე აფხაზები სეპარატისტების და რუსი სამხედროების კოლონა, მის შემადგენლობაში იყო T-55 ტიპის ტანკები,BMP-1 ტიპის ქვეითთა საბრძოლო მანქანები და ავტომატური საზენიტო ქვემეხებით აღჭურვილი „gaz-66“ ტიპის სამხედრო სატვირთო ავტომანქანები.

ქართულმა Cy-25 ტიპის მოიერიშეებმა დაბალი სიმაღლიდან მოწინაღმდეგის სამხედრო კოლონა დაბომბეს 500 კგიანი საავიაციო ბომბებით და C-8 ტიპის უმართავი საავიაციო რაკეტებით.

ქართული ავიაციის მიერ აფხაზების სამხედრო კოლონა გაანადგურდა და მოერიშე თვითფრინავები კოპიტნარის აეროდრომზე მშვიდობიანად დაბრუნდნენ.

ქართველი პილოტები დასვენებას ვერ ასწრებენ რომ კოპიტნარის აეროდრომზე მორიგი ცნობა მოდის, ქართულმა დაზვერვამ აღმოაჩინა რომ განადგურებული კოლონის სანაცვლოდ აფხაზები და რუსები ახალ სამხედრო კოლონას აგზავნიან სოფელ შრომის მიმართულებით, ოპერატიული მდგომარეობა მოითხოვს დაუყოვნებლივ განხორციელდეს საჰაერო დაბომბვა რათა მოწინააღმდეგემ გარღვევა არ მოახდინოს სოხუმის მიმართულებით.

კოპიტნარის აერდრომიდან ქართული სამხედრო ავიაციის ორი Cy-25 ტიპის მოიერიშე თვითფრინავი მოწინააღმდეგის მეორე სამხედრო კოლონის დასაბომბად აფრინდა. Cy-25 ს საბორტე ნომრით N10 ზურა იარაჯული მართავს.

ქართულმა მოიერიშებბმა დაბალი სიმაღლიდან წარმატებით ბომბავენ მოწინააღმდეგის სამხედრო კოლონას, თუმცა საჰაერო იერიშისას რუსი სამხედრობი “იგლას” ტიპის გადასატანი საზენიტო სარაკეტო კომპლექსიდან სითბური საზენიტო რაკეტას ესვრიან ქართულ მოიერიშეს რომელიც ზურა იარაჯულის Cy-25 მოიერიშეს ხვდება და ცეცხლი

წაეკიდა, ცეცხლმოკიდებული Cy-25 დან ზურა იარაჯულმა კატაპულტირება განახორციელა, საუბედუროდ ქარს პარაშუტი მოწინაღმდეგის მიერ კონტროლირებად მდინარე გუმისთის მხარეს მიაქვს.

მეორე Cy-25 კოპიტნარის აეროდრომზე მშვიდობინად ჯდება, პილოტი მომხდრის შესახებ ატყობინებს საჰაერო ძალების ხელმძღვანელობას, კოპიტნარის აერდრომიდან სასწრაფოდ ფრინდება MI-24 ტიპის საბრძოლო შვეულფრენი და გუმისთას მიდამოებში ეძებს კატაპულტირებულ სამხედრო მფრინავს.თუმცა ძებან უშედეგოდ მთავრდება.

მოგვიანებით ცნობილი ხდება რომ გუმისთის ტყეში აფხაზ სეპარატისტებს და ჩეჩენ მებრძოლებს რომელბიც 3 დღე ეძებდენ კატაპულიტრებულ ქართველ მფრინავს, ჩეჩენების ჯგუფს ალყაში მოუქცევიათ გუმისთის ტყეში ზურა იარაჯული და ტყვედ ჩაბარების სანაცვლოდ სხვა ტყვებზე გაცვლას დაპირდნენ.

კაპიტანმა ზურა იარაჯულმა კარგად იცოდა რომ ტყვედ ჩაბარების შემთხვევაში მას აფხაზ ტყვებზე გაცვლიდნენ, სწორედ ამ გზით აფხაზების ტყვეობიდან გამოვიხსენით ორი ქართველი სამხედრო პილოტი,თუმცა ზურა იარაჯულმა ტყვედ ჩაბარებაზე უარი განაცხადა და მოწინააღმდეგეს ცეცხლი გაუხსნა. ორი მოკლა და ერთი ბოივიკიც დაჭრა. ჩეჩენების საპასუხო ცეცხლის შედეგად გმირულად დაიღუპა კაპიტანი ზურბ იარაჯული.

1993 წლის 27 ივლისს მხარეებს შორის რუსეთის შუამავლობით ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის შემდომ მოხერხდა ზურა იარაჯულის ცხედრის მოძიება და თიანეთში გადასვენება სამწუხაროდ ამ ახალგაზრდა ქართველი სამხედრო პილოტის გმირობა დღემდე სათანადოდ არ არის დაფასებული,

2013 წლის 19 სექტემბერს კი საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების დღესთან დაკავშირებით ზურა იარაჯულს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

მოგმართავთ ინიციატივთ ქ. თბილიში მდებარე უსახელო ქუჩებიდან ერთ-ერთს (უმჯობესი იქნება თუ ეს იქნება გრძელი ქუჩა) მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გმირის ზურაბ იარაჯულის სახელი.

პატივისცემით

საინფრომაციო პორტალის (gmas.ge) ხელმძღვანელი

იოსებ ჭონქაძე

წერილის ნომერი: **03-032213627**
თარიღი: **16/05/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ქართული სამხედრო ანალიტიკური პორტალის (gmas.ge) ხელმძღვანელის იოსებ ჭონქაძის 2022 წლის 13 აპრილის საქმე #19-032210314-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭებას. გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ზურაბ იარაჯულის შესახვევის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 5 (ხუთი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01221362985**
თარიღი: **16/05/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 16.05.2022 წლის #03-032213627 (16.05.2022წ. #14-01221361016-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი